დამუშავებულია ინტენსიური ბაღების ბაზოებზე გაშენების სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალება ბაზოწარმომქმნელი მანქანის სახით. ბაზოწარმომქმნელი წარმოადგენს ცვალებადი მოდების განის მანქანას, რომლითაც შესაძლებელია მივიღოთ ნებისმიერი ზომის და სიმკვრივის ბაზო. მანქანის მუშა ორგანოების ფართო დიაპაზონში რეგულირების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა შევქმნათ სხვადასხვა რიგთაშორისები და უზრუნველვყოთ ბაზოს გვერდითი დახრილობის სასურველი კუთხე.

მოცემულია ბაზოწარმომქმნელი აგრეგატის მუშაობის მათემატიკური მოდელი მსგავსების, განზომილებათა და მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტის დაგეგმვის თეორიების გამოყენებით. მიღებულია კრიტერიალური განტოლება, რომელიც საფუძვლად დაედება მრავალფაქტორიანი ექსპერიმენტის დაგეგმვას.